# ნაკადული



საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეორე

## მცირე წლოვანთათვის

## № XXI

## ნოემბერი

**1906**

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

2/7

ტფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა", მიხაილოვის ქუჩა № 65.
1906

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი:

1. დაცდა.—ლექსი აკაკისა . . . . . . . . . . . . . . 3
2. რეზოს პირველი დარდი.—სვ. ყიფიანისა . . . . . . 5
3. თხამ მგელი დაიჭირა.—(ფრანგულით) ყიულიეთსი . 13
4. გეოგრაფიული ცნობანი.—(თარგმანი ინგლისურით) გაგრძელება . . . . . . . . . . . . . . . . . . 17
5. გასართობი.— . . . . . . . . . . . . . . . . . 22



# ᲓᲐᲪᲓᲐ.



ჩიტმა დამძახა დილაზე,
ვერ მოვასწარი თოფიო,
გავხელდი, გავბრაზიანდი
და მომერია ცოფიო!
სახლში დავბრუნდი საჩქაროდ,
მთა გადვიარე წამ-ერთო,
გზა გადამიჭრა კურდღელმა,
„ვაი“-ზე „უი“ დამერთო.
კარგად არა მაქვს დაცდილი
არც ჩიტი, არც კურდღელიო;
შინ ვზივარ ყურ-ჩამოყრილი,
რაღაცას საწყენს ველიო.
აჰა, გავიდა სამი დღე,
და ცუდს ვერასა ვხედავო;
მაგრამ, რომ კარზე გავიდე,
ჯერ მაინც ვერა ვბედავო.
ასე ჰბორ პაპია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაც-კი გულ-ნადებია,
ვეღარ დაჭფარა! —წარმოსთქვა,
და ყურს უგდებდა ბებია.
პატარა შვილის-შვილები
წიგნს კითხულობდნენ იმ დროსა.
ყური რომ მოჰკრა საჩივარს,
ღიმი მოადგა უფროსსა.
და უთხრა: პაპავ, ეგ არის
ამაო-მორწმუნებაო!
მართალი მხოლოდ ის არის,
ჭკუა რომ გვეუბნებაო.

აკაკი.



# რეზოს პირველი დარდი.

ქალაქის ერთ-ერთ უზარ-მაზარ შენობის ეზოში, რომელიც მთლად ქვებით იყო მოჭედილი, ბავშვების ჟივილ-ხივილი და კისკისი გაისმოდა. რამდენიმე ქალი და ვაჟი — ზოგი დიდი, ზოგი პატარა — სიცილითა და ხმაურობით დასდევდა პატარა, თეთრს ბატკანს, რომელიც სცდილობდა ხელიდგან გაჰსხლტომოდა ცელქს ბავშვებს, მაგრამ თავს ვერსად აფარებდა და დრო-გამოშვებით საცოდავად ბღაოდა.

მაისის თბილი დღეები იდგა. გაზაფხულს გაემარჯვნა ზამთარზედა და არე-მარეზედ გაბატონებულიყო. ქალაქის გარშემო მინდვრები და მთები მწვანედ ბიბინებდა, აქა-იქა ქუჩებსა და პატარ-პატარა ბაღებში ხეები შეფოთლილიყო, მოკაშკაშებულს ცაზედ მზე მხიარულად გამოიყურებოდა და ქალაქს სითბოს უხვად უგზავნიდა.

ხარობდა ყოველი სულდგმული; გული გაუგებარ სიტკბოსა ჰგრძნობდა, ყველას სიცილი უკრთოდა პირზედა და მომავალის იმედით აღსავსე ყველასა და ყველაფერს კეთილის თვალით უცქეროდა. არ ხარობდა, უფრო დარდობდა მხოლოდ საბრალო ბატკანი.

ბავშვები მიიმწყვდევდნენ ეზოს ერთ-ერთს კუნჭულში, გარს შემოერტყმოდნენ, ზოგი ყელზედა ჰხვევდა ხელსა, ზოგი ჰკოცნიდა, უალერსებდა, ზოგი ბულკსა სჩრიდა პირში, ზოგი შაქარს; ზოგიც ხელით დაგლეჯილს ბალახს სთავაზობდა, მაგრამ ბატკნის გულს არაფერი ახარებდა. ის ნაღვლიანად გაიცქირებოდა შორს სივრცეში და დრო-გამოშვებით გულსაკლავად, ნაზად იმახდა: ბეეე!

— „ბეეე"! — წვრილის ხმით გამოაჯავრებდნენ ბავშვები და მხიარულად ხითხითებდნენ.

ყველაზედ მეტად დახტოდა, მხიარულობდა და თავგამოდებული იყო პატარა ოთხის წლის რეზო, შავი, ცოცხალთვალებიანი და შავგვრემანი, ლამაზი სახისა; ერთ-თავად თავს დასტრიალებდა ბატკანსა და არავის არ აკარებდა.

— ჩემია ბეკეკა, ჩემია! — ამბობდა და სცდილობდა ხელში აეყვანა, თუმცა მალიან უჭირდა. ლამაზს სახეზედ ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თვალები უბრწყინავდა და ერთს წუთს აღარ ისვენებდა, დახტოდა, იცინოდა, მაღალი, წვრილი ხმით ყვიროდა და ამაყობდა იმით, რომ ბატკანი იმისი იყო, ხელი არავისა ჰქონდა მასთან; რომ ის იყო ერთად-ერთი ბატონი და პატრონი ბატკნისა.

— ქეთო, წავიყვანოთ ბეკეკა სახლში! — მალ-მალ ეუბნებოდა ის თავისს დას, რომელიც ერთი წლით იყო იმაზედ უფროსი და რომელიც სხვებთან ერთად ბატკანს ეთამაშებოდა. — წავიყვანოთო სახლში! რომ იტყოდა — ამით უნდოდა რეზოს ეგრძნობინებინა ამხანაგებისთვის, რომ იმას შეუძლიან ეს სიამოვნება იმათ მოაკლოს, ცარიელზე დასტოვოს, მაგრამ გარდაწყვეტილება მალე ავიწყდებოდა ისევ რეზოსა და ბატკანი არ მიჰყავდა არსად.

დრო გადიოდა. მზემ კარგად გადიწია დასავლეთისკენ. ეზოს ნახევარი ჩრდილით მოიფინა. სადილის დრო იყო. დე-

დები და მოსამსახურეები კარგა ხანია იწვევდნენ ბავშვებს სახლში, მაგრამ ბავშვები მახილს ყურადღებას არ აქცევდნენ და ბატკანს არ ჰშორდებოდნენ და არც მოჰშორდებოდნენ, ერთს გარემოებას რომ არ შეეშალა მათ თამაშობისათვის ხელი.

ბატკანი რეზოსა და ქეთოს დედ-მამას ვიღაცამ მოუყვანა საჩუქრად აღდგომის წინა დღეებში. ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ყოველ დღე, ჯერ კიდევ კარგად არ იყო ხოლმე გათენებული, რომ წამოცვივდებოდნენ საჩქაროდ ლოგინიდგანა და ,,თავისს ბეკეკას" სანახავად ეზოში გარბოდნენ, აღარ ახსოვდათ აღარც ჭამა, აღარც სმა; დედ-მამა იძულებულნი იყვნენ ხოლმე ძალით შემოეყვანათ ოთახში და სუფრაზე დაესვათ, მაგრამ აქაც ყველაფერს საჩქაროდ შესჭამდნენ და ისევ კარში გარბოდნენ.

— მე შემწვარი არ მინდა!—განაცხადებდა რეზო.

— არც მე მინდა!—მისცემდა ბანს ქეთო.

და ასე ყოველ დღე.

— რა ვუყოთ, ღმერთმანი!—შესჩიოდა ხშირად რეზოს დედა სტუმრებს,—ისე არიან გართულნი ამ ბატკნით, რომ ხეირიანად აღარაფერსა სჭამენ.

— აღდგომა შორს აღარ არის, — უპასუხა ერთხელ რეზოს მამამ,— რომ დავკლავთ, მაშინ რიღათი გაერთობიან?

დადგა აღდგომა დღეც, მაგრამ ბატკანი ვერ დაკლეს, რადგან რეზომ და ქეთომ ისეთი ტირილი ასტეხეს, რომ დედმამა იძულებულნი გახდნენ სააღდგომოდ სხვა ბატკანი ეყიდნათ.

გადარჩა ბატკანი სიკვდილს. მაგრამ რეზოსა და ქეთოს შიში ამითი არ გათავებულა.

მათ ჰყავდათ მზარეულად ახალგაზრდა, სანდომიანი სახის კაცი, რომელიც მუდამ მომცინარი სახით დადიოდა და მუდამ სადღაც ეშურებოდა თითქოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ამ მზარეულისა იყო, რომ ეშინოდათ რეზოსა და ქეთოს და ხშირადაც ეხვეწებოდნენ:

— ლენტო, არ დაკლა ბეკეკაი!

ლენტოც გაიცინებდა ამ სიტყვებზედა და არაფერს ეტყოდა, მაგრამ აგერ ლენტომ გაუარა ბავშვებს გვერდზე და გაუცინა:

— თქვენი ბეკეკაი ხვალ უნდა დავკლა!—უთხრა ლენტომა და ჩქარის ნაბიჯით გაჰშორდა.

ბავშვები სახტად დარჩნენ. ბატკანს უცბად ხელი გაუშვეს და შეშინებული თვალები მიმავალს ლენტოს გააყოლეს.

ბატკანი? მას ეს სიტყვები არ გაუგონია, მაგრამ, როგორც ყოველთვის, გაიცქირებოდა შორს, სივრცეში და, რაც მის გვერდითა ხდებოდა, ამას-კი არ ამჩნევდა, თითქოს იქ, სივრცეში, ეძებდა ის ხსნასა და შებრალებასა.

მისი კეთილი, ცოტათი ამღვრეული თვალები თითქოს ამბობდნენ: უგულო, შეუბრალებელო ადამიანო, რად მომაშორე დედის ტკბილს მუმუს? რად წამომიყვანე მწვანე, ტრიალ მინდვრებიდგანა და რად მომიყვანე ამ ქვებით მოფენილს ეზოში, საიდგანაც ღრუბლების მეტს ვერას დავინახავ და სადაც ერთ კიკნა ბალახსაც ვერა ვპოულობ? რად მოსტაცე დედას შვილი, შვილს—დედა, ამხანაგს ამხანაგი და რად ჩამაგდე ამ ბავშვების ხელში. რომლებსაც, ვიცი, ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ საწყალობლად ვყევარ?

ბავშვები კარგა ხანს იდგნენ ერთს ალაგას გაშეშებულნი, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდნენ. არავის არა სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო ის, რაც მზარეულმა სთქვა. ბოლოს შეინძრნენ რეზო და ქეთო, მიიხედ-მოიხედეს და შინისკენ გაიქცნენ.

— დედა, ლენტომა სთქვა, ბეკეკა უნდა დავკლაო!—მისცვივდნენ ისინი დედასა, მაგრამ დედა ამ დროს ვიღაცას ელა-

პარაკებოდა და პასუხი არ გასცა. ბავშვები ამით, ცოტა არ იყოს, დამშვიდდნენ. პატარა ხანს უკან სრულიადაც დაავიწყდათ მზარეულის სიტყვები და დანარჩენი დრო კვლავინდებურად ბატკანთან თამაშობაში გაატარეს.

—

დილის 6 საათი იქმნებოდა. მიჩუმებულს ოთახში კარებებიდგანა და ფანჯრების დარაბებიდგან მზის სხივები შემოპარულიყვნენ და ოთახის სიბნელე გაეფანტათ. სახლში ყველას ეძინა მხოლოდ მეორე ოთახში დაფუსფუსებდა და ხმაურობდა რეზოსა და ქეთოს დაიას გამზრდელი კეკე.

რეზოსა და ქეთოსაც ეძინათ. მათი პატარა კრაოტები ერთად იყო მიდგმული და საბნებ გადასდილნი მშვიდად ჰსუნთქავდნენ.

აგერა, რეზომ თვალები გაახილა, ოთახს გადაჰხედა. წამოდგომა და ჩაცმა ჯერ ადრე იყო. რეზო გვერდზედ გადატრიალდა და ძილის შებრუნება მოინდომა, მაგრამ რაღაცა ფიქრმა უცებ გაუელვა თავში და ქვეშსაგებში წამოჯდა.

,,ხვალ თქვენი ბეკეკა უნდა დავკლა!“ მზარეულის ეს სიტყვები მთელის თავის საზარელი სახით წარმოუდგა თვალწინ და ძილი მთლად გაუფანტა.

ის პატარა ხანს კიდევ ათვალიერებდა ოთახს, შემდეგ გადაჰხედა ქეთოს და შეშინებულის ხმით დაუძახა:

— ქეთო, ქეთო!

ქეთო არ იღვიძებდა.

— ქეთო, ქეთო!—არ ეშვებოდა რეზო და ხმას თანდათან უმაღლებდა.

ქეთომ თვალი გაახილა და გაკვირვებულმა შეჰხედა ძმასა.

— ქეთო, ბეკეკა სად არის?

ამ სიტყვებმა ქეთოც გამოარკვიეს. ორთავენი უსიტყვოდ წამოცვივდნენ ზეზე და, როგორც იყვნენ, პერანგებით აივანზედ გაცვივდნენ.

ეზო და აივანი მზით იყო განათებული. ირგვლივ სიჩუ-მე იყო. ვიღაცამ ხმაურობით ჩაირბინა კიბეზედა და ჩქარ-ის ნაბიჯით ალაყაფის კარებისკენ წავიდა. ბატკანი არსად სჩანდა, აღარც მისი გულსაკლავი „ბეეე!“ ისმოდა.

პატარა ხანს უკან სამზარეულოდგან გამოვიდა ლენტო. მკლავები დაკარწახებული ჰქონდა, ცალს ხელში დანა ეჭირა, მეორეში თეთრი, დაკულულებული ტყავი ბატკნისა.



ბავშვებს სახეზედ ფერმა გადაჰკრა. ეჭვი არ იყო, ტყავი მათი „ბეკეკას"-ში იყო. მაგრამ ისინი მაინც კარგა ხანს ათვალიერებდნენ ეზოსა და ელოდნენ, ხომ არ გამოსტებოდა სადგანმე და არ შეითამაშებდა ლამაზი ჩასუქებული, პატარა რქიანი ბეკეკა.

ბოლოს გამოტრიალდნენ და დაყურსულნი ოთახში შევიდნენ. არავისთვის არაფერი არ უკითხავთ. ჩაიცვეს, დაიხურეს, ჩაი დალიეს, მაგრამ ეზოში აღარ გაუხედნიათ.

დადგა სადილის დროც. სადილზე უნდობლად დასხდნენ, მოღუშულები. დედამ დაუსხა ყველა იქ მყოფთ წვენი და შემდეგ მიუბრუნდა შვილებს:

— დაგისხათ წვენი? ისეთი გემრიელია, ისეთი რომა...

— არ მინდა წვენი!—მიუგო გაბუსხულმა რეზომ.

— არც მე მინდა!—განაცხადა ქეთომ.

— რატომ, არ გინდათ? ნახეთ, რა გემრიელია!

— არ მინდა, ეგ ბეკეკას ხორცია!—უპასუხა რეზომ და თავი დაღუნა, რადგან თვალებში ცრემლი მოერია.

ეს იყო და ეს, შემდეგ არც სუფრაზედ, არც საღამომდის რეზოსა და ქეთოს ხმა აღარ ამოუღიათ; მხოლოდ როდესაც ლოგინში ჩაწვნენ და ძილი დააპირეს, მაშინ-ღა მიუბრუნდა რეზო ქეთოს და უთხრა:

— ქეთო, ლენტო ხულიგანია!

რეზოსა და ქეთოს ენაზედ სიტყვა ხულიგანი ნიშნავდა ყოველისფერს ცუდს, ბოროტს,—შეუბრალებელს ადამიანსა.

გაიარა ორმა წელმა. რეზო და ქეთო წამოიზარდნენ. ერთი შთაბეჭდილება სცვლიდა და ჰსპობდა მეორეს. მათ გაუჩნდათ სხვა სათამაშო, სხვა გასართობი, მაგრამ ბეკეკა დღესაც არ დაჰვიწყებიათ.

როდესაც ლენტო თეთრს ტანისამოსში გამოწყობილი მხიარულის სახით მიდი-მოდის ოთახებსა, სამზარეულოსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოში, რეზო გაჩერდება, გააყოლებს მას თვალსა და, გვერდზედ ჰყავს ვინმე, თუ არა, მაინც იტყვის:

— ლენტო ხულიგანია!

რომ ჰკითხავ:

— რადა, რად არის ხულიგანი?

გიპასუხებთ:

— ბეკეკაი დაკლა!

სვ. ყიფიანი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# თხამ მგელი დაიჭირა.

(ფრანგულით)



საფრანგეთში ერთი სოფელია, სახელად ტრიგავუ. სოფლის მახლობლად დიდი ტყეა; ტყეზედ გზა მიდის, რომლის აქეთ-იქითაც გამწკრივებულია ნაძვის ხეები. ტყის პირად, გზის ახლო, პატარა საყდარია—ძველი, მიტოვებული. იქვე ჩუხჩუხითა და თამაშობით ჩამოუდის ნაკადული.

დიდი ხნისაა ძალიან ეს პატარა საყდარი, ცოტათი დანგრეულიც-კია. ჭერი ხავსითა აქვს დაფარული, კარებიც მუდამ ცოტათი გაღებული. ამ პატარა საყდარს დიდი სახელი აქვს იქაურს ხალხში გავარდნილი.

სწორედ აქ მოხდა ის საკვირველი,—არ ვიცი-კი დანამდვილებით, როდის,—და გასაოცარი ამბავი, რომ (იქნება არც-კი დაიჯეროთ) თხამ მგელი დაიჭირა!

საზოგადოდ ხომ მგელი იჭერს ხოლმე თხასა!

აი, როგორ გვიამბობენ იქაური გლეხები ამ ამბავსა:

ერთს დღეს, ტყის მახლობლად, მინდორზედ, ბალახსა სძოვდა თურმე პატარა, თეთრი ციკანი. ყელზედ ციკანს გრძელი თოკი ჰქონდა მობმული, რომლის მეორე წვერიც ხის პალოს ება; პალო-კი მიწაში იყო ჩარჭობილი,—რასაკვირველია, იმიტომ, რომ ციკანი არსად წასულიყო და არ დაკარგულიყო. დილით მოიყვანდნენ და აბამდნენ, მერე საღამოთი ბავშვები მოირბენდნენ, აუშვებდნენ და მიჰყავდათ ისევ სახლში.

ამ ერთს საღამოს რატომ აღარ მოვიდნენ ციკნის წასაყვანადა?... ეს აღარ ვიცით. შეიძლება დაავიწყდათ. ნელ-ნელა შებინდდა; მერე სულაც დაღამდა. ჭაჭანება აღარავისი იყო

საწყალი ციკანი! დარჩა მარტოდ-მარტო, ბნელა ღამეში მინდვრად და მოჰყვა საცოდავად კიკინსა. პატრონებს ეძახდა.

— მ-ე-ე-ე!... მ-ე-ე-ე!.. გაიძახოდა საბრალო გულსაკლავადა, მაგრამ ვინ იყო გამგონი?..

გამგონი მარტო მგელი გამოდგა, რომელიც თურმე იქვე ყოფილიყო ტყეში.

ტყე შავად გამოიყურება. ბნელა... შორით, საიდამღაც ბნელაში მგლის ყმუილი ისმის: უ-უ-უ!.. უ-უ-უ!.. ,,ეს უთუოდ მგელია‘‘, გაიფიქრა ციკანმა.

ყმუილი თან-და-თან ახლოვდება...

ოჰ! როგორ შეშინდა და აიტანა ცახცახმა საბრალო ციკანი, ბნელაში რომ იქვე ღობის ახლოს ორი, ცეცხლივით ბრიალა თვალი დაინახა... ისე ანათებდნენ, როგორც მუგუზალი. საშინლად შეეშინდა საცოდავსა, კინაღამ გული გაუსკდა. შეხტა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გასწია თოკსა და კინაღამ დაიხრჩო. კიდევ შეხტა, კიდევ გასწია და, წარმოიდგინეთ, პალო ამოგლიჯა მიწიდგანა და გაჰკურცხლა გამწარებულმა, მაგრამ საით? თვითონაც არ იცოდა. მირბის საბრალო ციკა-

ნი და თან მიათრევს თოკსა და პალოს, რომელიც რაკა-რუკით მისტის მის უკანა. მგელიც ფეხ-და-ფეხ მისდევს უკანა.

კარგა მანძილი გაირბინა უკვე. აგერა, ნაძვების ხეივანიც. ჩვენი ციკანი შურდულივით გაქანდა ხეივნისაკენ. მგელიც გამოეკიდა.

ტყის ნაპირას, ნაძვების ხეივნის ბოლოში, თუ გახსოვთ, პატარა ძველი საყდარი იდგა, კარებიც რომ მუდამ ნახევრად ღია ჰქონდა ხოლმე, ისა. აი, სწორედ ამ საყდარს მიაშურა გულგახეთქილმა ციკანმა და ეცა კარებსა. გაიღო კარები ცოტათი კიდევ და ციკანიც შეძვრა შიგა.

მაგრამ ავაზაკი მგელიც თან შეჰყვა.

ოჰ! ეხლა ხომ უეჭველად დაიღუპა უბედური ციკნიკო!

მაგრამ უყურეთ ერთი! ციბრუტივით შემოტრიალდა უცებ მექქა და უკანვე გამოვარდა. ვიდრე გაუმაძღარი მგელი იმისს დაჭერას მოასწრებდა, ის უკვე გამოძვრა ნახევრად ღია კარებში. როგორღაც მოხდა და უკან რომ ხის პალო მისთრევდა, კარებს მოედო. გასწია ციკანმა თოკსა და კარები-კი მოიხურა... მგელი საყდარში მოემწყვდა!

მეორე დღეს დილით, როდესაც გლეხები გზად მიდიოდნენ, დაინახეს, რომ თეთრი ციკანი მალზედ სჭიმავდა თოკსა და თან საცოდავად კიკინებდა. მივიდნენ მაშინვე და გაანთავისუფლეს. მაგრამ საყდრის კარები რომ გააღეს და შიგ მგელი ნახეს, როგორ გაუმასპინძლდნენ მას, ამისი-კი აღარა ვიცით-რა. უეჭველია ღირსეულად დაუხვდებოდნენ...

რაც დათესა, ის მოიმკო.

შემთხვევით რომ გაიაროთ მშვენიერ სოფელ ტრიგავუზედ და იკითხოთ ,,მგლის ტყე,“ მაშინვე გიჩვენებენ ნაძვების ლამაზს ხეივანს, ცქრიალა ნაკადულსა და ხავს მოკიდებულს პატარა ძველს საყდარს, რომელსაც დღესაც ნახევრად ღია აქვს მუდამ კარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც გეტყვიან ლექსათა:
ეს არის სწორედ ის საუდარიო,
რომ დაუკეტა თხამ მგელს კარიო.

ყიყლიყო.





# გეოგრაფიული ცნობანი.

(თარგმანი ინგლისურით)

(გაგრძელება).

**სრული გეგმა შემოზღუდულ სათიბისა.**

— არ არის აღნიშნული ჩვენს გეგმაზედ არც ბეღელი, არც ზვინი (თივის ბულულები), არც ხელოვნური ტბა, —სთქვა ვილლიმ.

— არა, უპასუხა ბიძია ბობმა! — ჯერ-ჯერობით აღვნიშნეთ მხოლოდ გარეგანი ხაზები. ამ გვარს გეგმას ჰქვიან გარეგანი გეგმა. ახლა გავათავოთ გეგმა. მოდით, ერთხელ კიდევ დავხედოთ ჩვენს სურათს. ჯერ პირველად აღვნიშნოთ გეგმაზედ ალაყაფის კარების ადგილი. აბა სად დაინიშნოს?

— ოთხივ მხრიდამ, შუაგულ ადგილასა,—სთქვა ტომმა.

— უფრო მომცრო ხაზით აღნიშნეთ ეგენი,—სთქვა ბიძია ბობმა.

— ჭანდრის ადგილი სადღა აღვნიშნოთ.

— აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის კუთხეში,—მიუგო ვილლიმ.

— მუხისა?

— სამხრეთ-დასავლეთს კუთხეში.



— მალიან კარგი!—სთქვა ბიძია ბობმა.

— ეხლა დაგვრჩა ხელოვნური ტბა. ამას სად დავუნიშნოთ ადგილი და რა ყალიბისა (ფორმისა) უნდა იყოს იგი?—ჰკითხა ბიძია ბობმა.

— რადგანაც იგი რგვალია, წრეთ უნდა იყოს შემოხაზული და სათიბის შუაგულში მოქცეული,—სთქვა ტომმა.

— დაგვრჩა ახლა ზვინი და ბეღელი,—სთქვა ბიძია ბობმა.

— ზვინის ადგილი უნდა იყოს ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეს, მხოლოდ ბეღლისა სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში,—სთქვა ტომმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ახლა აღვნიშნოთ ფერმის ადგილიც, რომელიც მდებარეობს დასავლეთის მხარეს,—სთქვა ბიძია ბობმა,—და ჩვენი გეგმაც შესრულებული იქნება.

### საკლასო ოთახის სურათი.

ორშაბათს რომ სასწავლებლიდგან დაბრუნდნენ ბავშვები, თან სასწავლებლის სურათი მოიტანეს.

— აი, ბიძია, უყურეთ, აქ არის ჩვენის საკლასო ოთახის სურათი. დღეს ჩვენ ხატვისა და გეგმის ხაზვის გაკვეთილი გვქონდა და მასწავლებელმა მიბრძანა ეს სურათი შინ წამომეღო და აქა ვცდილიყავი შემედგინა აქედგან გეგმა საკლასო ოთახისა,—სთქვა ვილლიმ.

— ნუ-თუ გგონიათ,—ჰკითხა ბიძია ბობმა,—შესძლებთ ამასა?

— ვგონებ, რომ შევძლებთ,—უპასუხა ტომმა,—თუ თქვენც ცოტა ოდენს შემწეობას აღმოგვიჩენთ.

— ჰაი, თქვე ცუღლუტებო,—მიუგო ბიძია ბობმა.—თუ სათიბის გეგმის შედგენა მოახერხეთ, ამის გაკეთებას რატომ ვეღარ მოახერხებთ უჩემოდა?

— მე ვგონებ,—სთქვა ვილლიმ,—მე თითონაც შევძლებ ამის შესრულებასა.

— ძალიან კარგი,—სთქვა ბიძია ბობმა,—აი ვნახავთ! ეს

ბურთი და ეს მოედანი. მაგრამ ჯერ-კი ნება მიბოძეთ, კარგად გავსინჯო სურათი. ოჰ რა მშვენიერი ნახატია! აქ ნაჩვენებია მხოლოდ სამი კედელი საკლასო ოთახისა,—სთქვა ბიძია ბობმა:

— დიახ, მიუგო ვილლიმ, ნახატი აჩვენებს მხოლოდ იმას, რაც კარების შესავლიდგანა სჩანს. მეოთხე კედელი ჩემს უკან არის.

— მართალია,—სთქვა ბიძია ბობმა.—ჩვენ პირდაპირ რა კედელია?

— საკლასო ოთახის დასავლეთის კედელია,—უპასუხა ვილლიმ,—ეს კარები კი, რომლის თავშიაც კედლის საათი ჰკიდია, შესავალი კარებია კლასისა.

— ჩვენს უკან რომელი-ღა კედელია.



— აღმოსავლეთისა, რასაკვირველია, რადგანაც იგი დასავლეთის პირდაპირ არის.

— მაშ, ჩრდილოეთის კედელი რომელი-ღაა?—იკითხა ბიძია ბობმა.

— ის, რომელშიაც მოქცეულია სამი ფანჯარა და ბუხარი; მხოლოდ მის პირდაპირ რომ კედელია, რომელზედაც რუქები და ხის შავი დაფა ჰკიდია,—ის კედელი იქმნება სამხრეთისა.

—მაშასადამე, მასწავლებლის კათედრა ჩრდილოეთის მხარეს იქნება,—სთქვა ბიძია ბობმა.

— დიახ,—მიუგო ტომმა,—მოწაფეებისთვის-კი საჯდომი მაგიდები სამხრეთისაკენ იქმნებიან.

— მე ვხედავ სამს რიგს ანუ წყებას საჯდომ მაგიდებისას,—სთქვა ბიძია ბობმა.

— დიახ,—მიუგო ვილლიმ,—ყოველს რიგში სამ-სამი საჯდომი მაგიდა სდგას, სულ ერთიანად-კი ცხრა.

— დიახ,—მაგრამ ვიდრე კლასის გეგმას შეუდგებოდეთ, ერთი რამ უთუოდ უნდა იცოდეთ, სახელდობრ: სიგრძე და სიგანე საკლასო ოთახისა.

— დიახ! მაგრამ ეს წინადვე ნათქვამი გვაქვს მასწავლებლისაგან,—მიუგო ტომმა.—საკლასო ოთახს სიგანე 20 არშინი აქვს, სიგრძე 40.

— მაშ, მაქმე მოწყობილი ყოფილა! შეგიძლიანთ ჩაის შემდეგ საკლასო ოთახის გეგმის შედგენასაც შეუდგეთ.






მამა შვილს ,,მამაო ჩვენო"-ს ათქმევინებს. როდესაც შვილი იმ ადგილამდე მივა, სადაც ნათქვამია: ,,პური ჩვენი არსებისა მოგვეც ჩვენ დღეს", უცბად შეჩერდება შვილი და ჰკითხავს მამას:

— მამილო, მარტო ერთი დღისთვის რათა ვთხოვთ ღმერთს პურს, რატომ მეტს არა ვსთხოვთ?

მამა ჩაფიქრდება. ვიდრე ის მოიფიქრებს პასუხს, იქვე მდგომი უმცროსი ვაჟი უცბად წამოიძახებს:

— იმიტომა, რომ ყოველ დღე ახალ-ახალი, რბილი პური სჯობია გამხმარს.

**დიმ. დეკანოზიშვილი.**

---

## შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგ. სოლ. გოშაძისაგან).

იმას, რასაც შემკვეთელი
წინა დღითვე ოსტატს აძლევს,
,,თ: ნ"—სიტურფიჲ სანაქებო
გაზაფხულის ყვავილი სდევს;
მთელი არის მონასტერი
თბილისიდგან შორს არა მევს.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ ა მ ო ც ა ნ ა.

ერთი რამე სულიერი
საყდარს უგალობებდაო;
შავი ჩოხა ტანზედ ეცვა,
კოჭებს არ უფარებდაო.

---

## რ ე ბ უ ს ი.




---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა ხ ს ნ ა.

მე-18 ნომერში მოთავსებული გამოცანების ახსნა: 1) წაბლი, 2) ფუტკარი, 3) ცხვარი.

—

მე-19 ნომერში შარადის ახსნა: იადონი.

—

მე-20 ნომერში გამოცანა-ლექსის ახსნა: ჰუჰულა. გამოცანა: კბილები, ენა და მუცელი. რებუსი: კაცია და გუნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

